



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080145808551719

№ 3024

15 / ივლისი / 2019 წ.

**შპს „არტ-სტარის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ**

**შემსყიდველი ორგანიზაცია:** სსიპ „შემოსავლების სამსახური“;

**ტენდერის ნომერი:** SPA190000915;

**შესყიდვის ობიექტი:** 39500000 – ქსოვილის ნივთები;

**მიმწოდებელი:** შპს „არტ-სტარი“ (ს/ნ: 402075874);

**წერილობითი შეტყობინების საფუძველი:** სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

**აღწერილობითი ნაწილი**

**1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება**

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 6 ივნისს წარმოდგენილ იქნა სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2019 წლის 6 ივნისის № 21-02/61325 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 6062), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „არტ-სტარის“ (ს/ნ: 402075874) მიერ SPA190000915 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2019 წლის 28 თებერვლის №1/28.02.19/2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის [mister.xomasuridze@mail.ru](mailto:mister.xomasuridze@mail.ru) მეშვეობით, 2019 წლის 7 ივნისის № 2131 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

**2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია**

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად, კერძოდ, ვადაგადაცილებით და არასრულად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, რის გამოც ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა და მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა.

**3. მიმწოდებლის პოზიცია**

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

**4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები**

4.1. 2019 წლის 11 თებერვალს სსიპ „შემოსავლების სამსახურმა“ გამოაცხადა SPA190000915 ელექტრონული ტენდერი ქსოვილის ნივთების (CPV39500000) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2019 წლის 21 თებერვლის №2 სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „არტ-სტარი“ (ს/ნ: 402075874) და მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. 2019 წლის 28 თებერვალს მხარეთა შორის გაფორმდა №1/28.02.19/2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა მიეწოდებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი (მონტაჟით) მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 59 998 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2020 წლის 31 იანვარი.

4.4. შემსყიდველი ორგანიზაციის ინსპექტირების ჯგუფის დასკვნების მიხედვით, მიმწოდებელი ვადაგადაცილებით ასრულებდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, ხოლო მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად, მიმწოდებელმა შეასრულა 6 829,2 ლარის ღირებულების ვალდებულებები (ხელშეკრულების ღირებულების 11%).

4.5. შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 19 მარტის №21-02/28892, 20 მარტის №21-02/29204 და 15 აპრილის № 21-02/39783 წერილებით, მიმწოდებელს ეთხოვა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება 5 სამუშაო დღის განმავლობაში სხვადასხვა მისამართზე.

4.6. შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 24 აპრილის № 21-02/44488 წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება 5 სამუშაო დღის განმავლობაში. ამავე წერილიდან ირკვევა, რომ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 19 მარტის № 21-02/28892, 20 მარტის № 21-02/29204 და 15 აპრილის № 21-02/39783 წერილებით გათვალისწინებული ვალდებულებები, რის გამოც მიმწოდებელს ეთხოვა გადაამჭრელი ზომების მიღება და მიეცა გაფრთხილება.

4.7. შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 16 მაისის № 21-02/51520 წერილით, მიმწოდებელს ეთხოვა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.8. შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 16 მაისის №21-02/51423 წერილის შესაბამისად, მიმწოდებელი არაჯეროვნად ასრულებდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რის გამოც, ამავე წერილით, მას ეთხოვა 10 კალენდარული დღის განმავლობაში ვალდებულებების სრულად და ხარისხიანად შესრულება და მიეცა გაფრთხილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტასთან დაკავშირებით.

4.9. შემსყიდველი ორგანიზაციის ინფრასტრუქტურის განვითარების სამმართველოს უფროსის 2019 წლის 30 მაისის №59368-21-02 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად, მიმწოდებელმა, რიგ შემთხვევებში, ვერ შეასრულა მიმწოდებლის წერილებით მოთხოვნილი ვალდებულებები, ხოლო, რიგ შემთხვევებში, ვალდებულებები შესრულდა ნაწილობრივ. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა.

4.10. შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 4 ივნისის № 21-02/60086 წერილით, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა და მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა.

## **სამოტივაციო ნაწილი**

### **5. შემაჯამებელი დასკვნა**

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეკერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „არტ-სტარი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

### **6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

### **7. სამართლებრივი შეფასება**

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, რის გამოც ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა. ამდენად, არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/ მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. აღსანიშნავია, რომ შპს „არტ-სტარს“ (ს/ნ: 402075874) 2019 წლის 4 ივლისს მიეცა გაფრთხილება NAT190003672 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. მიმწოდებლის გაფრთხილების მოქმედების ვადა კი იწურება 2020 წლის 4 ივლისს.


7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, არსებული დარღვევისა და მიმწოდებლის მანამდე არსებული გაფრთხილების ფაქტის გათვალისწინებით, შპს „არტ-სტარი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

**სარეზოლუციო ნაწილი**

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

- 1. შპს „არტ-სტარი“ (ს/ნ: 402075874) 2019 წლის 16 ივლისს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
- 2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
- 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე  ლევან რაზმაძე